პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 19 (9680)
27 იანვარი,
ოთხშაბათი,
1988 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტოქის ფარს უტევს თბილისის დინამოელი კოლიჩევი.

სეული-88

სარეკორდო ოლიმპიადა

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ XXIV ოლიმპიურ თამაშებში. ახლი გადაწყვეტილება მიიღო ამას წინათ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ეს გადაწყვეტილება აცნობა კიდეც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ლოზანაში (შვეიცარიის ამ ქალაქში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაა მოთავსებული).

XXIV ოლიმპიადა ამჯერად აზიის კონტინენტზე, სეულში ჩატარდება მიმდინარე წლის სექტემბერში. უკვე ახლავე შეიძლება ვთქვათ, რომ სეულში გაემგზავრება ჩვენი ქვეყნის 500-კაციანი დელეგაცია. გადაწყდა მზადებისა და აკლიმატიზაციის საკითხები. რამდენიმე ხანს ჩვენი ოლიმპიელები ვლადივოსტოკსა და ხაბაროვსკში ივარჯიშებენ. ამ ქალაქებში მათ მზადებისთვის ყოველგვარი პირობები ექნებათ შექმნილი. მერე კი თვითმფრინავებით სეულს გაემგზავრებიან.

ვინ მიიღებს ოლიმპიადის საგზურებს ჯერ ძნელი სათქმელია. ეს მზადების შემდეგ გაირკვევა. მანამდე კი ნაკრები გუნდების კანდიდატებს საშუალება ექნებათ თავი გამოიჩინონ საკონტროლო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

სეულის ოლიმპიურ თამაშებში გამოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1980 და 1984 წლების ოლიმპიადებთან შედარებით შედეგები უფრო მაღალი და სტაბილური იქნება.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

აგნეშკა ბრუსტმანი

აგნეშკა ბრუსტმანი (დაიბადა 1962 წლის 31 ივლისს) პრეტენდენტთა ტურნირის ერთადერთი საზღვარგარეთელი მონაწილეა.

პოლონელმა მოჭადრაკემ 1985 წელს ჯერ აღმოსავლეთ ევროპის ზონალურ ტურნირში გაიმარჯვა, შემდგ კი ეელეზნოვოდსკის საზონათშორისო ასპარეზობაში მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებამ ძალზე მოულოდნელი შედეგები მოიტანა — ფავორიტებმა მარცხი განიცადეს, ჩინელი ოსტატის ვუს მეორე ადგილი კი სენსაციური იყო. ბრუსტმანმა აქ III-IV ადგილები გაიყო ლიუდმილა ზაიცევასთან. რადგან პრეტენდენტთა ტურნირში სამი გამარჯვებული გადიოდა, ბრუსტმანსა და ზაიცევას შორის დამატებითი მატჩი დაინიშნა, რომელიც ყაიმით — 3:3 დამთავრდა. საგზური ბრუსტმანმა მიიღო, რადგან უკეთესი კოეფიციენტი ჰქონდა. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, როგორც წესი, ავტომატურად ხდება დიდოსტატი, ასე რომ, პოლონელმა ეს უმაღლესი წოდება დაიმსახურა.

მალმეს პრეტენდენტთა ტურნირი (1986 წლის 1-23 თებერვალი) ბრუსტმანმა, დებიუტანტის პირობაზე, კარგად წარმართა. საინტერესოა, რომ მისი მიკრომატჩები ლიტინსკაიასა და ლევიტინასთან ყაიმით (1:1) დამთავრდა, ბრუსტმანმა სძლია კრამლინგსა და ვუს (1,5:0,5). მისი საერთო შედეგი იყო 6,5 ქულა 14 შესაძლებლიდან და მეექვსე ადგილი. ბრუსტმანმა გაასწრო ლევიტინასა და ვუს და დაამტკიცა, რომ ძლიერი, პერსპექტიული დიდოსტატია. ეს მომდევნო შეჯიბრებებმაც ცხადყვეს.

1986 წლის აპრილში პოლონეთის საჭადრაკო ფედერაციის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით ვარშავაში ქალთა ძლიერი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. 13 შესაძლებლიდან 10 ქულით აქ პირველ ადგილზე ლევიტინა გამოვიდა, ბრუსტმანმა კი 8 ქულით IV-V ადგილები გაიყო ახმილოვსკაიასთან. ორი თვის შემდეგ ახალგაზრდა ვარშაველმა უკვე ჰავანაში ითამაშა

იხ. მე-4 გვ.

ვინ მოთვლის რამდენი ფელიეტონი ოცნებობდნენ გორელები საკუთარ ქალაქში ჰქონოდათ თუნდაც ერთი საცურაო აუზი. ოცნება ასრულდა, მაგრამ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის საცურაო აუზი, რომელიც დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში, ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი. აუზი სანახევროდაც არაა დატვირთული. რატომ?

იხ. მე-2 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთაგუნდებში

ქულებს გაფრთხილება ახლა უნდა

უმაღლესი ლიგის ქალთაგუნდელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფორმულა ხშირად იცვლება, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის და გუნდების წინაშე ახალ-ახალ პრობლემებს აყენებს. სტაბილური ფორმულის აუცილებლობაზე მწვრთნელები და სპეციალისტები არც თუ იშვიათად ლაპარაკობენ, მიტომ ჩვენ მას აღარ გავიმეორებთ. მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ დღეს მოქმედი ფორმულა გახდა იმის მიზეზი, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო მატჩები, ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

მაგრამ პირველი ეტაპი ასე თუ ისე დამთავრდა და მან ჩემპიონატის შემდგომი ეტაპის მონაწილე რვა კოლექტივი დაასახელა. ახლა მეორე ეტაპზე (ვუწოდოთ მას პირობითად მეოთხედფინალური ტურნირი) გუნდებს კიდევ უფრო კონკრეტული ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი და ამიტომ, ყოველი ქულა, ყოველი გამარჯვება დიდ მნიშვნელობას იძენს. ბოლო მერვე ან მეშვიდე ადგილის დაკავება სახიფათოა თუნდაც იმიტომ, რომ ახალი ფორმულის თანახმად ეს კოლექტივები პირველ და მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს უნდა შეხვდნენ. ცსკა-სთან და „ყაზგირისთან“ თამაში კი ერთობ უსიამოვნო პერსპექტივაა. როგორც ხედავთ ამ ეტაპზე ყველაზე ხელსაყრელია მესამედან მეექვსე ადგილებისთვის

იხ. მე-3 გვ.

ფეხვედრა ფუალტუბოელ გულშემატკივრებთან

ბარს მოგვადგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი. საკავშირო ჯანმრთელობის კერა, შეიძლება ითქვას, ახლა ჭადრაკზე ფიქრით ცხოვრობს. ეს კარგად ჩანს არა მარტო წყალტუბოელთა განწყობილებიდან, არამედ ამ საპრესტიჟო ტურნირისადმი მასპინძელთა სეიოზული მზადებისა და სტუმართა სიმრავლიდანაც.

ამ დღეებში წყალტუბოს მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საპატიო სტუმრებს — მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მწვრთნელ ალექსანდრე ნიკიტინს და ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს სერგეი დოლმატოვს. შეხვედრაზე მოვიდნენ წარმოების მოწინავენი, ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის სფეროს მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, პრეტენდენტ ქალთა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. აბზიანიძემ შეკრებილთ წარუდგინა ა. ნიკიტინი და ს. დოლმატოვი და ხაზგასმით აღნიშნა მათი წვლილი კასპაროვისათვის საჭადრაკო გვირგვინის შენარჩუნებაში.

სევილიის მატჩისთვის მზადებისა და დაძაბული საჭადრაკო მარათონის შესახებ ვრცლად და შთამბეჭდავად ისაუბრა ა. ნიკიტინმა. შემდეგ მან გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხა.

მურთაზ კანკაძე,
წყალტუბოს საქალაქო გაზეთ „დროშის“ რედაქტორი.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისთვის, დაბადების 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სპორტსახკომმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში **ნოდარ ფარსადანის ძე ახალკაცი.**

კვლავ წინადადებები

სარედაქციო ფოსტას ყოველდღიურად მოაქვს წერილები, რომლებშიც ჩვენი მკითხველები გვიზიარებენ თავიანთ წინადადებებს იმის თაობაზე თუ რა დაერქვას საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებას. აბრი სხვადასხვაა. მაგალითად, უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში ი. ლობანოვი გვთავაზობს საზოგადოებას დაერქვას „**ალი**“ ან „**ავაზა**“, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, რესპუბლიკის დიზაინერთა ფონდის გამგეობის თავმჯდომარე გ. წულაძე თვლის, რომ ყველაზე უპრიანია საზოგადოებას დაერქვას „**მართველ**“ ან „**ნიამორი**“. მივიღეთ დეპეშა მახარაძიდან — „მერცხალის“ ფეხბურთელთა გუნდის წევრები მოითხოვენ საქართველოს პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებას ეწოდოს „**ალი**“, ამავე აზრს იზიარებენ რუსთაველი მ. კვინიკაძე, აფენელი გ. სამყურაშვილი, წყალტუბოელი ვ. წიკვწიკაძე და სხვები.

კალგარის ოლიმპიადის წინ

ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ საკონცერტო კომპლექსში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში ქალთა შორის. 500 მ. რბენაში პირველი იყო უფელი ე. ილინა — 41,23, 1000 მეტრზე ომსკელმა ე. ლაპუგამ იმარჯვა — 1.23,58. იგი პირველი იყო 1500 მეტრზეც (2.07,84). ამ დისტანციაზე მეხუთე ადგილზე გავიდა თბილისელი **ინგა გელაური**, რომელიც მეორე ადგილზე გასულ ე. ტუმანოვას (2.09,04) მხოლოდ 0,86 წამით ჩამორჩა. ხვალ, 28 იანვარს მოციგურავეები 3000 მ. დისტანციაზე იასპარეზებენ.

(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

დღეს, 18 საათზე, წყალტუბოში საზეიმოდ გაიხსნება ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ორწრიანი ტურნირი. დღეხვე ჩატარდება წილისყრა.

• • •

29 იანვარს თბილისში იწყება თავისუფალ ჭიდაობაში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ოლიმპიადისწინა ამ ავტორიტეტულ ასპარეზობაში მონაწილეობენ აშშ-ის, გდრ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, კანადის, რუმინეთის, პოლონეთის, სამხრეთ კორეის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

შეჯიბრებას თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

დასაწყისი 10 და 17 საათზე.

ელვა-ინფორმაცია

ლვოვი. აქ გაიმართა საკავშირო შეჯიბრება ველოსპორტში სპრინტერული პროგრამით, 200 მეტრზე გიტი მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა მოიგო, თბილისელი ვლადიმერ ადამაშვილი კი მეორე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ სპრინტერთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი ადამაშვილმა დაიკავა, რომელმაც მერვედფინალში კოვში დაამარცხა (ამ უკანასკნელს საბოლოოდ 21-ე ადგილი ერგო). დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ და სხვა შედეგებზე „ლელოს“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ

ᲐᲚᲘᲙᲝ კაპანაძეს კარგად იცნობენ ფიზკულტურულ-სპორტულ წრეებში. იგი ძველი, გამოცდილი სპორტული მუშაკია, სამი ათეული წელია ენერგიულად იღვწის სხვადასხვა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში: იყო სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი, თბილისის სპორტკომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, პირველი მაისის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი, სპორტის სასახლის სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე...

ა. კაპანაძე დღეს საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ჩოგბურთის კორტების (პლეხანოვის პროსპექტი, 117) კოლექტივს უდგას სათავეში.

◎ წელიწადიც არ გასულა, რაც ჩოგბურთის კორტებზე ხელმძღვანელად გადასვედით, მაგრამ ბაზას უკვე დაეტყო გამოცდილი მეურნის სასიკეთო ხელი...

— მადლობელი ვარ, თუ ასე აფასებთ ჩვენს საქმიანობას. ვფიქრობ, შექება მეტ სტიმულს მისცემს ჩვენს მკირარიცხოვან კოლექტივს შემდგომ მუშაობაში თუ, ცხადია, სპორტნაგებობათა სამმართველო შემდგომშიც ასევე აქტიურად დაგვეხმარება.

◎ რა გაკეთდა თქვენთან კონკრეტულად გასულ წელს?



ერთ-ერთი გამაჯანსაღებელი ჯგუფი.

— რა დასამალია, რომ ბევრმა არც კი იცოდა ამ კორტების არსებობა, არადა სწორედ აქ დაოსტატდნენ ცნობილი ჩოგბურთელები ედუარდ ნეგრებეკი, იან გომერი, ვლადიმერ სერებრიანიკოვი, ირინა ერმოლოვა, თეიმურაზ კაკულია, ალიოშა ვერულავა, გიორგი ღარიბაშვილი და სხვანი. სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ, რომ მათი უმრავლესობა ამავე ეზოში ცხოვრობდა. თქმა არ უნდა, ამ დიდებულ სახელებს მხოლოდ შესაფერისი კორტები შეეფერება. ამიტომ ჩვენი უპირველესი ზრუნვა იყო სრულ წესრიგში მოგვეყვანა მოედნები, მიმზიდველი გაგვეხადა იგი. ახლა წესრიგში მოგვყავს საფარის ზედაპირი, გამოიცვალა ბადეები, შევიძინეთ ახალი სპორტული ინვენტარი, გავაკეთეთ მოედნის განათება, აქვე დავდგით დიდი ელექტროსაათი, რათა მომეცადინეებმა და მწვრთნელებმა უფრო რაციონალურად გამოიყენონ განკუთვნილი დრო. კეთილმოვაწყეთ გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო კაბინეტი, აგრეთვე კორტების მიმდებარე ტერიტორია, გავიყვანეთ სასმელი წყალი — შადრევანი, შევიძინეთ მოსახერხებელი ჯიხურები, მოვაწყეთ სახელოვან ჩოგბურთელთა ფოტოსტენდი...

◎ ფასიან მომსახურებაზე რას იტყვით?

— ვხელმძღვანელობთ რა სადირექტივო დადგენილებით „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ჩვენთანაც შემოვიღეთ ახალი ფორმა — ერთჯერადი მეცადინეობისათვის ბილეთების რეალიზაცია. ამან საგრძნობლად გაზარდა საკასო შემოსავალი.

◎ როგორია ჯანმრთელობის ჯგუფების მუშაობა, თუ არის მომეცადინეთა ზრდა?

— თავად განსაჯეთ: 1986 წელს კორტებზე სულ ორი ჯგუფი იყო, დღეს მათმა რაოდენობამ უკვე შვიდს მიაღწია, ხოლო მომეცადინეთა რიცხვი 80-85-ს აღწევს.

◎ ვინ შეადგენს ამ კონტინგენტს?

— სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, დაწყებული მოსწავლეებიდან და დამთავრებული... აკადემიკოსით. დიახ, ჩვენთან რეგულარულად ვარჯიშობს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ირაკლი გვერდწითელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გია აბზიანიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლიონია ეიჩისი, ტელეჟურნალ „საბჭოთა არმიელის“ რედაქტორი გივი ბაქრაძე, ჯანმრთელობის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელი ივეტა პანიევა, თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის თანამშრომელი აჩიკო სამხარაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ხათუნა პულუზაშვილი, 170-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლევან შაფათავა და მრავალი სხვა.

◎ საშეფო მუშაობას თუ ეწევით?

— ვშეფობთ ახლომდებარე, 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ლუდის № 1 ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, № 23 სახლმმართველობის მიკრორაიონის მცხოვრებლებს. მათთვის სამეცადინოდ სპეციალურად გამოვყავით კვირაში ორი დღე — სამშაბათი და ხუთშაბათი (დილის 10 საათიდან — 13 საათამდე), სხვათაშორის, შაბათობით 12 საათიდან 14 საათამდე ბაზაზე ღია კარის დღე გვაქვს.

◎ თქვენს ბაზაზე ხომ შეჯიბრებები ხშირად ტარდება...

— ხშირად ვმასპინძლობთ საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებს — სსრ კავშირის გმირების ვახტანგ ლეჟავას და შოთა გამცემლიძის მემორიალებს. ჩატარდა ბლიც-ტურნირი ჯანმრთელობის ჯგუფებში ქალთა და ვაჟთა შორის, ტურნირი მოსწავლეთა არდადაგების პერიოდში და ა. შ.

◎ მაინც ვის გამოჰყოფთ თქვენს კორტებზე მოვარჯიშე ახალგაზრდა სპორტსმენებიდან?

— პერსპექტიულ სპორტსმენთაგან დავასახელებ ნინო ლუარსაბიშვილს, მიშა მღებროვს, დათო ანთაძეს, გიორგი ანთაძეს, ნატაშა კარპუსოვას, ნატო ვაჩაძეს, რომლებსაც რუსპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ღარიბაშვილი და ვიქტორ ბაქში ავარჯიშებენ.

◎ ზემოთ შემოსავლის ახალ ფორმაზე გვქონდა საუბარი. გვითხარით, როგორ სრულდება თქვენს ბაზაზე ფინანსური გეგმები?

— გასულ წელს გეგმით 8.500 მანეთი გვქონდა გათვალისწინებული, ჩვენ კი 14.000-ზე მეტი შემოსავალი მივიღეთ. საკასო შემოსავალმა 4.000 მანეთს გადააჭარბა, რაც თითქმის ოთხნახევარჯერ მეტია 1986 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე წელს შემოსავალს კიდევ უფრო გავზრდით — საიჯარო და საკასო საქმეს უფრო მაღალ დონეზე დავაყენებთ. აქვე უნდა ითქვას, რომ შტატებით ძალზე შეზღუდული ვართ, ბაზაზე სულ შვიდი (?!) თანამშრომელია.

◎ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენი ბაზა უკვე მზადაა სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად?

— ყველაფერი გულდასმით ავწონ-დავწონეთ და დავრწმუნდით, რომ დღეისათვის უკვე მზად ვართ სახელმწიფო დოტაციაზე უარი ვთქვათ, ბაზა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიყვანოთ. ამისათვის საჭიროა ჩოგბურთის კორტები გამოეყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს.

◎ რა ღონისძიებებს აპირებთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და საერთოდ მთელი მუშაობის გასაუმჯობესებლად?

— კაპიტალური რემონტი ჩვენს ბაზაზე, კერძოდ თვით კორტებზე, კარგა ხანია არ ჩატარებულა, ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ვაპირებთ კორტების საფარის გარკვეულ განახლებას. მეცადინეობის საერთო ხანგრძლივობას ჯანმრთელობის ჯგუფებისთვის ერთი საათით გავზრდით, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ ორი ჯგუფი გავხსნათ. ამით, ვფიქრობთ, რამდენადმე დავაკმაყოფილებთ ჩოგბურთში მეცადინეობის მსურველებს, ეს კი ჩვენი საქმიანობის უპირველესი ამოცანაა.

ᲔᲚᲐᲣᲑᲠᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ — ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ!

ᲔᲚᲘᲠᲡᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲚᲘᲠᲡᲐᲗ

ᲠᲝᲪᲐ გორში რაიმე საქმეზე საგანგებოდ ჩავდივართ ან ამ ქალაქში გზად გავივლით, არ შეიძლება ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის კომპლექსში არ შევიაროთ ხოლმე. კომპლექსი — ეს არის შეხანიშნავი თანამედროვე ნაგებობა რამდენიმე სპორტული დარბაზით, კეთილმოწყობილი გასახდელებით, სამუშაო და მეთოდური კაბინეტებით, საექიმო მომსახურების ცენტრით... კომპლექსში შედის დახურული საცურაო აუზის ცალკე ნაგებობაც, რომელიც იქვე გაშენებული.

თავდაპირველად საცურაო აუზი, როგორც ხდება ხოლმე, ნაჩქარევად, მრავალი დეფექტით ჩადგა მწყობრში. კიდევ რამდენიმე წელიწადი გავიდა, ვიდრე აუზი აუზს დაემსგავსებოდა და შეუფერებლად იმუშავებდა. ახლა გორელთა დიდი ხნის ნანატრი ეს სპორტული ბაზა სრულ წესრიგშია, გამართულად მუშაობს და შეხანიშნავადაცაა მოვლილი, რაც მთავარია, წყლისა და შენობის გათბობის პრობლემა მოიხსნა დღის წესრიგიდან. გახულ შაბათს, აუზისთვის ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. ახლა ადრინდელივით კარი გამოკეტილი არ დაგვხვედრია, თუმცა...

—რატომ, არავინ მეცადინეობს აუზში? — ვეკითხებით მორიგე ინსტრუქტორს.

— დილის მეცადინეობები დამთავრდა, ახალი ჯგუფი კი სამი საათიდან მოვა სავარჯიშოდ. — მივიღეთ პასუხი.

დავინტერესდით და გამოირკვა, რომ აუზზე სპორტსკოლის 8 მწვრთნელი მუშაობს. თითოეულს, როგორც ამას შტატი ითვალისწინებს, 4-4 ჯგუფი ჰყავს, სულ კი აუზში მეცადინეობს 800-მდე მოზარდი. ეს არის და ეს.

— იქნებ ქალაქში მეტი მსურველიც არ არის, — ვაგრძელებთ საუბარს ინსტრუქტორთან.

— რას ბრძანებთ, პირდაპირ შეწუხებული ვართ მშობლებისგან, მაგრამ რა ქნას, კონტინგენტი შეივსო, ოთხი ჯგუფი 12-14 ბავშვზე მეტის მიღების უფლება არა გვაქვს...

— ეკითხეთ თავად ბავშვებს, შეაწყენინოთ, პირდაპირ არგუმენტებზე გადავალთ. ამ აუზს, როგორც ყველა ასეთ კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზას, შეუძლია სულ ცოტა 14 საათი იმუშაოს დღეში — დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ერთდროულად ერთ საათში აუზს შეუძლია გაატაროს მინიმუმ 70 ცურვის მოყვარული, მთელი დღის განმავლობაში კი, უბრალო მათემატიკაა... 14×70=980-ი; ხედავთ? თუ ვიტყვით, რომ ის 800 ბავშვი დღეგამოშვებით დადის აუზზე, გამოდის, რომ დღეში აქ მეცადინეობს მხოლოდ 150 ცურვის მოყვარული. სად 150 და სად 980 (!). ახლა ისიც ვიკითხოთ, რატომ არავინ ფიქრობს დანაკარგის ანაზღაურებაზე? მხოლოდ შემოსავალი არ გვაქვს მხედველობაში, იმ ბავშვებს და საერთოდ მოსახლეობას ვგულისხმობთ, რომლებსაც ეხოდენ დიდი ხურვილი აქვთ, მაგრამ ვერ და ვერ შეუღწევიათ აუზში მაშინაც კი, როცა ეს სპორტული ბაზა უქმად დგას, ვგულისხმობთ იმ დანაკარგსაც, ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებასთან რომ არის დაკავშირებული. აუზს იკარითაც არ აძლევენ დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ერთი სიტყვით, გორელებს საცურაო აუზი ბოლოს და ბოლოს ეღირსათ, მაგრამ...

ჩვენ ძალიან მივეჩვიეთ მიზეზების მოშველიებას, მაშინ როცა არ გვხურს უარი ვთქვათ მუშაობის ძველებურ, ბიუროკრატიულ სტილზე. ახსურდულ ინსტრუქციებს და დებულებებს ვიშველიებთ, ათას მიზეზს გამოვნახავთ, ოღონდ ზედმეტად არ მივდგე-მოვდგეთ და, როგორც ამბობენ ხოლმე, „აუტკივარი თავი არ ავიტკოთ“. თუ ასე არ არის, მაშ რა უდგას წინ აუზზე საბაბონემენტო სისტემის დანერგვას? ჩვენმა განათლების სამინისტრომ ასეთი წესი უკვე კარგა ხანია დაამკვიდრა თბილისში კეროვისა და პირველი მაისის სახელობის რაიონების სახკოლათშორისო საცურაო აუზებზე და ამან კარგი შედეგიც გამოიღო. გორელებს რაღა აფერხებთ, მაგალითი სხვისგან მაინც გადაიღონ. იქნებ გორში არც ის იციან, სპორტული სკოლების დამწყები ჯგუფები ცურვაში შეიძლება ფასიანიც იყოს, ჯერ აბონემენტები შევთავაზოთ, მერე კი, როცა შესაბამის ნორმატივებს ჩაბარებენ, ბავშვები სპორტულ ჯგუფებში გადავიყვანოთ. სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენთ: სხვათა შორის, გორის საცურაო აუზზე მომუშავე მწვრთნელებიდან არც ერთი არის ცურვის სპეციალისტი, მოკლევადიან კურსებზე შეძენილი ცოდნით კი შორს ვერ წავალთ. ამაზეც უნდა დავფიქრდეთ! და კიდევ: დღეს გორის აუზზე ყველა ჯგუფი შევსებულია, დადგება დრო და ჩატარდება შერჩევა, უფრო ნიჭიერები დაწყებითი ჯგუფიდან სახწავლო-სპორტულ ჯგუფში გააგრძელებენ მეცადინეობას. გვინდა ვიკითხოთ: სად წავლენ ისინი, ვინც სახწავლო-სპორტულ ჯგუფში ვერ მოხვდებიან?

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: სასკოლო და სასკოლათაშორისო საცურაო აუზების მოსაწესრიგებლად და მათი მაქსიმალურად დატვირთვისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ბოლო ხანებში ძალიან საგრძნობლად გააქტიურა მუშაობა. ეს არ შეიძლება არ აღინიშნოს. იმედი გვაქვს, სამინისტრო ასევე გულისხმიერად მოეკიდება გორის საცურაო აუზის შემდგომ ბედს. იქნებ ღირდეს სპორტული სკოლის კომპლექსისგან აუზის გამოყოფა, ცურვის სპეციალიზებული სკოლის შექმნა და დასაწყისში აუზის თუნდაც ნახევრად სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. აქ კი, ალბათ, გორის ხელმძღვანელებმაც უნდა თქვან თავიანთი სიტყვა.

ᲝᲚᲢᲐᲢᲝᲑᲐ — ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ—ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲨᲘᲚᲣᲢᲔᲡ ᲠᲘᲜᲒᲖᲔ

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

„ᲝᲚᲢᲐᲢᲝᲑᲐ — სპორტში, მეგობრობა — ცხოვრებაში“ — ამ დევიზით ქალაქ ბენდერში ჩატარდა ტრადიციული საკავშირო ტურნირი — „მოლდავეთი-88“. ჰაბუკ კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ეს შეჯიბრება უკვე რამდენიმე წელია ეწყობა და იგი სპეციალისტთა დიდი მოწონებით სარგებლობს — მასში ხომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პერსპექტიული მოჭიდავეები მონაწილეობენ და იგი რეზერვების დათვალიერების საუკეთესო საშუალებაა.

ასე იყო ამჯერადაც, ბენდერის საჭიდაო ხალიჩაზე საასპარეზოდ შეიკრიბა რსფსრ-ის, უკრაინის, საქართველოს, ესტონეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ლატვიის, მოსკოვისა (ორი) და ლენინგრადის გუნდების 500-მდე წარმომადგენელი.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს ჭიდაობის სპორტული სკოლის გუნდი იცავდა.

.ყველა წონით კატეგორიაში 30-30 სპორტსმენი გამოდიოდა და, ბუნებრივია, პირველი ადგილისთვის ბრძოლა უაღრესად მწვავედ მიმდინარეობდა.

მიუხედავად ამისა, რიონისპირელმა ფალაველებმა შესანიშნავად იასპარეზეს — მათ ორი პირველი, ერთი მეორე და ერთი მესამე ადგილი მოიპოვეს.

56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში სპეციალისტებს სიურპრიზი შესთავაზა ავთანდილ რობაჭიძემ (მე-9 საშუალო სკოლა), რომელმაც ცხრა შეხვედრა ჩაატარა და ყველა ორთაბრძოლა 15-20 წამში სუფთად მოიგო. ისიც უნდა ითქვას, რომ ავთანდილმა კლასიკურ ჭიდაობაში ვარჯიში ახლახან დაიწყო, ბენდერში გამართული შეჯიბრება კი მისთვის პირველი იყო.

69 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში რვავე ორთაბრძოლა ვადაზე ადრე დასრულა და პირველი ადგილი მოიპოვა გოგიტა ჯინკველაშვილმა (რკინიგზის 23-ე საშუალო სკოლა). აღსანიშნავია, რომ სპორტსკოლების საკავშირო თამაშების მეორე პრიზიორს სხვა შეჯიბრებებზე ძირითადად უფროს მეტოქეებთან უწევდა ასპარეზობა. ამჯერად კი გოგიტა თანატოლებს შეხვდა და არც ერთ მათგანს ქულაც კი არ დაუთმო...

56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა კობა ლანჩავამ (21-ე პროფტექნიკური სასწავლებელი). მან ფინალამდე დამაჯერებლად გაიკაფა გზა, მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში თანაგუნდელ ა. როგბაჭიძესთან დამარცხდა.

მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა კობა კვერნაძე (21-ე საშუალო სკოლა).

ქუთაისელ ჰაბუკ ფალავანთა ბოლოდროინდელი გამარჯვებები იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ თეიმურაზ აფაზაველს, რომელსაც იანვრის ბოლოს თანაქალაქელები საზეიმო ვითარებაში გააცილებენ დიდი სპორტიდან, ღირსეული მემკვიდრეები ეზრდება.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲔᲚᲘ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ქულებს გაფრთხილება ახლა უნდა

დასასრული

ბრძოლა, ვინაიდან ნახევარფინალურ მატჩებში (აქ კი წყვილები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს შინ და სტუმრად და თუ საჭირო გახდა, მესამე დამატებითი მატჩიც დაინიშნება) სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს: მესამე—მეექვსეს, მეოთხე — მეხუთეს.

ჩემპიონატის სისტემაზე ასე დაწერილებით იმიტომ შეგჩერდით, რომ ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი ყოველი მატჩის მნიშვნელობას. თბილისის დინამოელთა და მათი მოსკოველი თანაკლუბელების გუშინწინდელ შეხვედრას საფუძვლად ეს ქვეტექსტი ედო და ბრძოლის ხასიათიც სწორედ ამან განაპირობა.

თბილისელებმა პირველი ათითორმეტი წუთი გაცილებით უკეთ ჩაატარეს და შექმნეს ქულათა მარაგი, რომელიც საკმარისი უნდა ყოფილიყო გამარჯვებისთვის. ერთ მომენტში სხვაობამ ანგარიშში 14 ქულასაც კი მიაღწია — 27:13. მაგრამ ჩვენი გუნდი მთელ ჩემპიონატს ფაქტიურად 6-7 კალათბურთელით ატარებს და, ცხადია, გაცილებით მეტ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ დატვირთვას იღებს.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებს დაღლა შეეტყოთ, რითაც უმალ ისარგებლეს მეტოქეებმა და ბრძოლა გაათანაბრეს. შესვენების შემდეგ ფაქტიურად „ახალი მატჩი“ დაიწყო, ძნელი, ორმხრივად დაძაბული და ნერვიული. ამ რთულ ბრძოლაში ერთგვარ უპირატესობას მაინც მასპინძლები ფლობდნენ. ასე იყო დაახლოებით 36-ე წუთამდე, რომელსაც თბილისელების მორიგი „აფეთქება“ მოჰყვა. და უნდა ითქვას, წაკმაოდ დროულიც. მატჩის ბოლო წუთები ჩვენმა გუნდმა დიდი აღმავლობით ჩაატარა და საბოლოო ჯამში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

თბილისის ტურის შედეგით „დინამოს“ გულშემატკივრები კმაყოფილი უნდა იყვნენ. სამიდან ორი გამარჯვება — ეს გახლდათ მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეიძლებოდა. ახლა ჩვენი კალათბურთელების წინაშე გაცილებით უფრო რთული ამოცანა დგას, 7 თებერვალს კაუნასში დაიწყება მეორე ეტაპის დასკვნითი ტური, რომელშიც ჩვენს კოლექტივს კაუნასის „ჟალგირისთან“, კიევის „სტროიტელთან“, მინსკის „რტი-სთან და დონეცკის „შახტიორთან“ მოუწევს თამაში. მთავარი მიზანია, რვა უძლიერესში როგორმე ავცდეთ ბოლო სამ ადგილს.

გუშინწინ თბილისში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა (ცსკა-სა და ვეფს შორის), რომლის შედეგი, კაცმა რომ თქვას, ეჭვს არც იწვევდა. ცსკა-მ, ცხადია, გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებას ამჯერად ლიდერის ხელწერა აშკარად აკლდა.

ამის მიზეზი რიგელთა ლიდერის ვალტერსის ბრწყინვალე თამაში იყო. ვალტერსმა პირველ ტაიმში თავის გუნდს 12 ქულა შესძინა. თანაც ოთხჯერ სამქულიანი სროლა ზუსტად მიზანს მოახვედრა. შესვენების შემდეგ რიგელის ნეიტრალიზება საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა, ვალტერსმა ამ დღეს 36 ქულა გააკეთა, თანაც ათი სამქულიანი (!) სროლა შეასრულა.

ნოდარ გუგუშვილი.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	25	24	1	49
„ჟალგ.“ (კაუნ.)	25	19	6	44
„სტროიტ.“ (კიევი)	25	15	10	40
„დინ.“ (თბ.)	25	13	12	38
რტი (მინსკი)	25	12	13	37
„შახტ.“ (დონ.)	25	11	14	36
ვეფ (რიგა)	25	11	14	36
„დინ.“ (მოსკ.)	25	11	14	36

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 იანვარი.

ცსკა — ვეფ (რიგა) 102:96 (54:42)

ცსკა: ბერეზნოი (21), ვოლკოვი (20), ბორინი (14), პოპოვი (14), მიგლინიეესი (11), გომოროვი (10), ენდენი (7), პანკრაშკინი (5), ლოპატოვი, მინაევი, ბაზარევიჩი.

ვეფ: ვალტერსი (36), ვეტრა (22), ბონდარენკო (13), ლიეპა (10), მელნიკი (6), ჩირკოვი (4), კალნინში (2), ტკაბსონი (2), პუკე.

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი), ვ. ხუურკასკი (ტალინი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 101:93 (53:52).

თბილისი: დარსაძე (22), კოლიჩევი (22), ტიუბინი (20), კაპუსტინი (18), ოპოშნიანი (17), ბოროდაჩოვი (2), გ. სანაძე.

მოსკოვი: სიზოვი (28), შიშკოვი (22), ეიგილი (14), გონჩაროვი (10), სუხარევი (9), კორნიშინი (8), კოჩერგინი (2), გადაშევი.

მსაჯები: ვ. მუხინი (ბაკო), ი. ტოვასტე (ვილიანდი).

სხვა მატჩები

დონეცკი. გაიმართა ფინალისტთა ტურნირის ბოლო ორი მატჩი.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა კაუნასის „ჟალგირისისა“ და კიევის „სტროიტელის“ ორთაბრძოლა. უკრაინელმა კალათბურთელებმა 10- ქულიან უპირატესობას მიაღწიეს პირველ ტაიმში (53:43), მეორეში კი, ფაქტიურად, შეინარჩუნეს სხვაობა და გაიმარჯვეს 105:93.

უფრო დაძაბულად წარიმართა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტისა და დონეცკის „შახტიორის“ კალათბურთელთა თამაში. შეხვედრის ბედი უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა. მინსკელებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 72:70 (38:31).

ბოლო ოთხეულის ამგები

კიევში მიმდინარეობს კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ტური იმ გუნდებისთვის, რომლებიც IX-XII ადგილებისთვის იბრძვიან.

მას შემდეგ, რაც ლენინგრადის „სპარტაკი“ ვერ მოხვდა რვა ფინალისტთა შორის, ამ გუნდის მწვრთნელი ვ. კონდრაშინი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გულისტკივილით საუბრობდა ჩემპიონატის ფორმულის შეუსაბამობაზე და სადღაც, გულის სიღრმეში, თავისი კოლექტივის წარუმატებლობას ამას აბრალებდა.

ახლა „სპარტაკი“ აუტსაიდერთა ოთხეულში იბრძვის, სადაც უკვე ყველაფერი თვით გუნდის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, მაგრამ ნევისპირელთა კოლექტივი, როგორც ჩანს, არც ამ გამოცდისთვის ყოფილა მზად. ყოველ შემთხვევაში გუნდმა უკვე ორი შეხვედრა წააგო თავის მთავარ კონკურენტებთან, კიევის არმიელებთან — 89:92 და „კალევთან“ — 70:79.

„კალევმა“ და კიევის სკა-მ მეორე შეხვედრაც მოიგეს. ორთავემ ვილნიუსის „სტატიბა“ დაამარცხა, ესტონელებმა — ანგარიშით 92:88, უკრაინელებმა — 100:87.

კასპაროვ — კარპოვის მატჩის ექო

ჭადრაკის სიყვარულით

მას შემდეგ, რაც დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის ბოლო პარტია, საერთაშორისო პრესაში არ ცხრება ამ ორთაბრძოლის ირგვლივ სხვადასხვა სახის, ხანდახან კი სრულიად მოულოდნელი მითქმა-მოთქმა. თუ ვიმსჯელებთ მრავალრიცხოვანი წერილებით, ჩვენს მკითხველებსაც აინტერესებთ სევილიის მატჩის ყოველი წვრილმანი.

ჰოლანდიაში გამგზავრების წინ გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ კორესპონდენტი შეხვდა მსოფლიო ექსჩემპიონს ჭადრაკში **ანატოლი კარპოვს**, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჯერ დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის სხდომაში, ხოლო შემდეგ ითამაშებს იქვე — საიუბილეო საერთაშორისო ტურნირში და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

◎ მართალია, გასული წლის მოვლენები უკვე წარსულს ჩაბარდა, ისინი მაინც საკმაოდ აღელვებს ჭადრაკის მოყვარულთ. მრავალ გულშემატკივარს აინტერესებს, თუ როგორ მიმდინარეობდა ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის მზადება და როგორ იყო იგი ორგანიზებული?

—ესპანეთის მშვენიერი ქალაქი სევილია, სადაც მიმდინარეობდა მატჩი, ადრე არასდროს ყოფილა საჭადრაკო ცენტრი. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევანი სწორი იყო — როგორც კლიმატური პირობებით, ასევე ჭადრაკის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა ინტერესით. ყოველი პარტიის წინ ლობე დე ვეგას თეატრთან უზარმაზარი რიგი დგებოდა. ბილეთებით ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებდნენ.

სევილიაში მრავალრიცხოვან ტურისტთან ერთად ჩამოვიდნენ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები და წამყვანი დიდოსტატები. ისინი მხოლოდ მაყურებლებისათვის პარტიის კომენტარს როდი სჯერდებოდნენ, ატარებდნენ ერთდროული თამაშის სეანსებს, რაც ასევე ხელს უწყობს ჭადრაკის პოპულარიზაციას. მატჩი მართლაც მსოფლიო მნიშვნელობისა იყო.

◎ შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ორგანიზაცია იდეალური იყო?

— მე ასე არ ვიტყოდი, იყო გარკვეული ნაკლი, რომელიც შემდეგში აუცილებლად უნდა გათვალისწინონ მატჩის ორგანიზატორებმა. მათ ვერ უზრუნველყვეს ორივე მონაწილისათვის ერთნაირი საყოფაცხოვრებო პირობები. ტრადიციულად და ფიდე-ს წესებით, მატჩის ჩასატარებელ ქალაქში, ჩვეულებრივ ადრე მიემგზავრებიან მონაწილეთა წარმომადგენლები მატჩისადმი მზადების შესამოწმებლად. ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა, სევილიაში ჩვენ თვითონ, მე და კასპაროვი ვიყავით თითოჯერ. მართალია, კასპაროვი უფრო წინდახედული აღმოჩნდა, მისი პირადი მენეჯერი — ენდრიუ პეიჯი ინგლისიდან რვაჯერ ჩაფრინდა სევილიაში კასპაროვის დავალებით, ორგანიზატორებთან სხვადასხვა საკითხების შესათანხმებლად.

◎ ახლა დავუბრუნდეთ სევილიის მატჩს. ანგარიში საყაიმოა — 12:12, თქვენ იგი არ წაგიგიათ, მსოფლიო ჩემპიონმა კი შეინარჩუნა თავისი ტიტული.

კასპაროვი ამ მატჩს თვლის 120 პარტიისაგან შემდგარი ორმოცთვიანი ბრძოლის — საჭადრაკო მარათონის — (რომელიც დაიწყო 1984 წლის 9 სექტემბერს და დამთავრდა 1987 წლის 19 დეკემბერს) დამამთავრებელ ეტაპად. მატჩის საერთო ანგარიშია 17:16 და 87 ყაიმი, მსოფლიო ჩემპიონის სახელგებლოდ. არის კი კანონზომიერი ასეთი სტატისტიკა?

— სტატისტიკა კი სწორია, მაგრამ მატჩებია სხვადასხვა, მათი არევა არ შეიძლება. ყოველი სპორტული სიტუაცია კარნახობს ბრძოლას თავის ფორმებს.

ასე რომ, 1985 წლის მეორე მატჩის დროს, 24-ე პარტიაში აუცილებლად მჭირდებოდა მოგება, რომ შემენარჩუნებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მოგების შანსები იყო, მაგრამ იგი მე ვერ გამოვიყენე. კასპაროვი სვლების გამეორებით მიაღწევდა ყაიმს, თუკი მეც დავეთანხმებოდი და სვლებს გავიმეორებდი. ამ დროს მე უარს ვამბობ ყაიმზე, ვაკეთებ საკმაოდ რისკიან სვლას და ვაგებ პარტიას. საერთო ჯამში კასპაროვს აქვს 2 ქულის უპირატესობა, ხოლო შეიძლებოდა ანგარიში ყოფილიყო 16:16 და არა 17:16.

◎ როგორი იყო ბრძოლის ხასიათი ამ მატჩში?

— მატჩის წინ ჩვენ ორივენი დარწმუნებულნი ვიყავით ჩვენს ძალებში და ვფიქრობდით, რომ მატჩი ძალზე საინტერესო იქნებოდა. მე ახლაც კი, კასპაროვის ინტერვიუს შემდეგაც, შემიძლია გავიმეორო, რომ მატჩი იყო საინტერესო, უკომპრომისო და უშეღავათო. საკმარისია ითქვას, რომ პირველი რვა პარტიიდან ოთხი შედეგიანი იყო. ანგარიში იყო 2:2, ორი მოგება და ორი წაგება. .მაგრამ ცხადი გახდა, რომ ამ სულისკვეთებით და ასეთივე შედეგიანობით მატჩის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ყოველ მოქმედებაზე შეიძლება მოინახოს საწინააღმდეგო მო-



ქმედება. და მართლაც, ჭადრაკის დაფასთან კასპაროვის მიერ არჩეული პოზიციების ხასიათი შეიცვალა. მან შეცვალა თავისი გეგმები. მეორე და მეხუთე პარტიების წაგების შემდეგ მის თამაშში იგრძნობოდა მერყეობა, როდესაც საჭირო იყო გადამწყვეტი სვლის გაკეთება, გაუჩნდა რთული პოზიციებისადმი შიში (თვითონ კასპაროვი ხმარობს სიტყვა — „საშინელებას“), ადრე მსგავსი რამ მას არ დამართნია, პირიქით, ის ეძებდა გართულებებს. მისი აზრით და მრავალი სპეციალისტის აზრითაც სწორედ აქ მჯობნიდა იგი. ახლა კი მიისწრაფოდა ნათელი პოზიციებისაკენ და შეძლებისდაგვარად უფრო მარტივისაკენ.

◎ საერთოდ როგორ ხდება პარტიისათვის განწყობა? ხომ ძალზე მნიშვნელოვანია ძალთა განაწილება მატჩის მთელი დისტანციისათვის?

— მსოფლიო პირველობაზე მატჩი არის ხანგრძლივი ორთაბრძოლა, ამასთან დასვენების დღეები არსებობს მხოლოდ მატჩის ორგანიზატორებისათვის, მაყურებელთათვის, ნაწილობრივ პრესის მუშაკთათვისაც, ხოლო მატჩის მონაწილე მოჭადრაკეებისათვის მიმდინარეობს მუდმივი დაძაბული მუშაობა. თუ არ არის პარტია დღეს, — წყდება სახვალიო პრობლემები. ამიტომ საჭიროა თანმიმდევრობითი, ძირფესვიანი მომზადება არა მარტო საჭადრაკო თვალსაზრისით, არამედ ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადაც. ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან — ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია!

აი მოჭადრაკეც განწყობილია საბრძოლველად... მატჩის განმავლობაში ერთ შემთხვევაში მას აწყობს ყაიმი, მეორე შემთხვევაში კი არა. მაგრამ არაფრით არ შეიძლება დაუთანხმოთ იმ აზრს, რომ თითქოს მას შეეძლო პარტიის მოგება, მაგრამ არ მოისურვა, შემდეგ კი გაწყენა და მოიგო. მსოფლიო პირველობაზე მატჩებში ასე არ ხდება. უმაღლეს დონეზე ორთაბრძოლის ისტორია გვიჩვენებს, რომ მოჭადრაკე ხშირად ისჯება ყურადღების მოდუნებისათვის. ამიტომ უმთავრესი კანონი სამატჩო ბრძოლისა ასეთია: გაგიჩნდა შანსები მოგებისა? — მოიგე. იყო შანსები და ვერ მოიგე? — ესე იგი ვერ შეძელი, რაღაც არ გეყო. სევილიის მატჩი ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა. დავუშვათ ასეა, მაშინ რას ნიშნავს ეს გამოუყენებელი შესაძლებლობები? მატჩის მთლიანად დაკეგმვა შეუძლებელია, ისევე, როგორც ძნელია ზუსტად განსაზღვრო ვინ რამდენი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. იყო შესაძლებლობა გეთამაშა ძლიერად... უფრო შეუპოვრად დაგეცვა თავი... უკეთ შეგეტია... იყო შესაძლებლობა... ყველაფერი ეს მისაღებია გარკვეული ფორმით, ნებისმიერი პარტიის ან ერთ-ერთი მონაწილის მოქმედების შეფასებისათვის. მე მხედველობაში მაქვს ის აშკარა შესაძლებლობები, რაც დაფაზე მოხდა.

შეგახსენებთ მხოლოდ ორ ასეთ ეპიზოდს. ავიღოთ ვთქვათ მეშვიდე პარტია. მე ხელიდან გავუშვი ფორსირებული მოგება... მეთერთმეტე პარტიაში უკეთესი პოზიცია მაქვს, უხეში შეცდომა და პარტია წაგებულია. აი, ასეთი გამოუყენებელი შეცდომებით მე ძალიან გავუსწარი ჩემს მოწინააღმდეგეს. აღვნიშნავ, რომ თვით ფაქტი ძალზე ცუდია, მიზეზებს ალბათ კიდევ დიდხანს დავუწყებ ძებნას.

არასასიამოვნოა, მაგრამ უნდა ვაღიარო და დავეთანხმო კასპაროვს, რომ გადადებული პარტიების გარჩევა მის ბანაკში უკეთ ხდებოდა. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამით პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი მინდა ჩემს მწვრთნელებზე გადავიტანო, არა, მე თვით ვარ დამნაშავე. ამიტომაც მე სხვადასხვანა-

იხ. №№ 4-ში



ფეხბურთი-90

დეგულება უცვლელი დატოვეს

ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დებულებამ ევროპის ზონის ზოგიერთი შესარჩევი ჯგუფიდან ფინალისტის გამოვლენის შესახებ რამდენიმე ეროვნული ფედერაციის პრინციპული წინააღმდეგობა გამოიწვია.

საქმე ეხება საკვალიფიკაციო ეტაპის იმ შესარჩევ ჯგუფებს ევროპაში, საიდანაც ფინალში გადიან მხოლოდ გამარჯვებულები და კიდევ ორი ფინალისტი უნდა გამოვლინდეს მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს შორის. ასეთებია პირველი, მეორე და მეოთხე ჯგუფები. აქ ფინალის 2 საგზურს მოიპოვებენ მეორე ადგილზე გასული ის გუნდები, რომლებსაც უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდებათ თავიანთ ჯგუფებში.

ამ პუნქტის თაობაზე პროტესტი განაცხადა უელსის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელმაც კონკრეტული წინადადებაც წამოაყენა: ამ გუნდებს შორის საჭიროა დამატებითი, ცალკე ტურნირის მოწყობა. უელსელებს მხარი დაუჭირეს შვეიცის, პოლონეთისა და ჰოლანდიის ფედერაციებმა, ამ ოთხეულმა მოითხოვა დებულების პუნქტის შეცვლა.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მოეწვია ყველა დაინტერესებული მხარე და საკითხიც ხმათა უმრავლესობით გადაეწყვიტა. ამ სხდომაზე ინგლისისა და რუმინეთის წარმომადგენლები დებულების შეცვლის წინააღმდეგ წავიდნენ, ექვსი ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენლებმა კი საკითხის განხილვაში მონაწილეობას თავი აარიდეს. ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა ი. ბლატერმა განაცხადა, რომ ცვლილების მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ამიტომაც დებულება არ შეიცვლება. ევროპის ზონის ზემოდასახელებულ ჯგუფებში 2 ფინალისტის საკითხი გადაწყდება საკვალიფიკაციო ციკლის პროცესში ჯგუფებში ჩატარებული მატჩების უკეთესი შედეგების მიხედვით (ქულათა მეტი რაოდენობა, ქულათა თანაბრობის შემთხვევაში — ბურთების უკეთესი სხვაობა, გატანილი ბურთების საერთო რაოდენობა და, ბოლოს, წილისყრა). დამატებითი ტურნირი ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს შორის არ ჩატარდება.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲐᲒᲜᲔᲨᲙᲐ ᲑᲠᲣᲡᲢᲛᲐᲜᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

შა, კაპაბლანკასადმი მიძღვნილ დიდ ფესტივალში და აქაც IV-V ადგილები დარჩა (7 ქულა 11 თამაშიდან). სექტემბერში ბრუსტმანი პირველ ადგილზე გამოვიდა ჰამბურგში, სადაც 9 შეხვედრიდან 6 ქულა მოაგროვა.

ბრუსტმანმა, როგორც პრეტენდენტთა წინა ასპარეზობის მონაწილემ, საზონთაშორისო ტურნირში პერსონალურად მონაწილეობის უფლება მიიღო. ამან მას საშუალება მისცა მშვიდად მომზადებულიყო მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის. 1987 წლის მაიტ-აპრილში ვროცლავში პოლონეთის ქალთა 39-ე ჩემპიონატი გაიმართა. ბრუსტმანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პოლონეთში ამჟამად სერიოზული მეტოქე არა ჰყავს. 14 შესაძლებლიდან 11 ქულით იგი ჩემპიონი გახდა და მთელი ერთნახევარი ქულით გაუსწრო მეორე პრიზორს. ქვეყნის ჩემპიონობა მან უკვე მესამედ მოიპოვა (1982 და 1984 წლების შემდეგ).

და აი, 1987 წლის ყველაზე საპასუხისმგებლო შეჯიბრება — საზონთაშორისო ტურნირი ტუზლაში (იუგოსლავია). შეიძლება ითქვას, ბრუსტმანმა აქ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის მოჭადრაკეა. თავიდანვე დაწინაურებულ ნანა იოსელიანთან მეტოქეობა შეუძლებელი კი გახდა, მაგრამ ერთ-ერთი საპრიზო ადგილისათვის ბრძოლა ბრუსტმანს ბოლომდე არ შეუწყვეტია. 17 შესაძლებლიდან 11,5 ქულით (+8—2=7) მან III-IV ადგილები გაიყო ლიდია სემონოვასთან. ისევე, როგორც ყველაზნოვოდსკში, აქაც საჭირო გახდა დამატებითი მატჩის გამართვა. დაინიშნა 6 პარტია, მაგრამ ყველას ჩატარება საჭირო არ გახდა — ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა ბრუსტმანმა და მეორედ მოიპოვა პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება. ამასთან დაკავშირებით ვარშავის ჟურნალმა „შახმა“ ყდაზე გამოაქვეყნა პრეტენდენტის სურათი მწვრთნელთან ოსტატ რიშარდ ბერნარდსა და მამამისთან, იან ბრუსტმანთან ერთად. ბრუსტმანის მამა ძლიერი მოყვარული მოჭადრაკეა და შვილისთვის მეორე მწვრთნელის როლს თამაშობს.

აგნეშკა ბრუსტმანი ენერგიული სტილის მოჭადრაკეა, მას კარგად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი აქვს. თეორებით იგი ღია დასაწყისებს ირჩევს, შავებით კი ზოგჯერ დავიწყებულ დებიუტებს მიმართავს და მეტოქის მწყობრიდან გამოყვანას ცდილობს. პოლონეთის ჩემპიონატში შავებით ესპანურ პარტიაში მან წარმატებით გამოიყენა ბერდის ვარიანტის სახელით ცნობილი ძველებური გაგრძელება.

შეიძლება ითქვას, რომ წყალტუბოს ტურნირში ბრუსტმანი იმ მოჭადრაკეთა რიცხვს არ მიეკუთვნება, რომლებიც მიმომხილველებს პირველი ადგილის პრეტენდენტად მიაჩნიათ. მაგრამ იმასაც დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ახალგაზრდა პოლონელი დიდოსტატი (ეს ორი წლის წინ მალმეშიც დამტკიცდა) არავისთვის ხელწამოსაკრავი არ გახლავთ. საერთოდ, წყალტუბოში, მალმესაგან განსხვავებით, არცერთი აუტსაიდერი არ არის. ისინიც კი, ვინც სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში მოხვდებიან, ფავორიტებს, უნდა ვიფიქროთ, შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევენ. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბრუსტმანს დასაკარგი არაფერი აქვს და როცა ბრძოლა მეტისმეტად გამწვავდება, იგი სხვა მონაწილეებთან შედარებით უფრო მშვიდად იქნება.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პოლონელმა მოჭადრაკემ არაერთი წარმატება მოიპოვა და მისი რეიტინგიც საგრძნობლად გაუმჯობესდა — ამჟამად იგი 2395-ს უდრის. ეს მეათე მაჩვენებელია მსოფლიოში.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲕᲗ...

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲕᲔ

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „იზვესტიამ“ 26 იანვარს წერილი სხრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდრის შესახებ.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს იმაში, რომ ჩვენი ფეხბურთის უმთავრესი შეჯიბრების განრიგი წლიდან წლამდე არასწორადაა დაგეგმილი, ყოველ სეზონში მრავალი მატჩი გადაადგილდა, ირღვევა გრაფიკი, მასთან ერთად ირღვევა უმაღლესი ლიგის გუნდების მზადების გეგმები, ფეხბურთის მოყვარულებს კი ყოველთვის არა აქვთ საშუალება თვალი მიადევნონ ხშირ ცვლილებებს. და ეს არითმია გრძელდება მთელი გათამაშების მანძილზე — ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. თამაშების გადატანა ნორმად იქცა.

ყურადღებას იპყრობს კალენდრის არაეკონომიკურობა. ზედმეტი სამგზავრო ხარჯები და, აქედან გამომდინარე, გრაფიკის იძულებითი დარღვევა. ეს მით უფრო საზიანოა ახლა, როცა ჩვენი ფეხბურთი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადადის.

ჩემპიონატის ჩვეული გრაფიკია: ორი მატჩი შინ, ორი — სტუმრად, ამიტომაც უმაღლესი ლიგის 16 გუნდი წყვილებადაა დაყოფილი. ნორმალურია, როცა წყვილებად ერთიანდებიან ერთი ქალაქის, ან მეზობელი რეგიონების გუნდები, ვთქვათ, თბილისის „დინამო“ და „არარატი“, კიევის „დინამო“ და „მეტალისტი“, მინსკის „დინამო“ და „ულაგირისი“, „დნეპრი“ და „შახტიორი“, მაგრამ გაუგებარია რა პრინციპით დაწყვილეს მოსკოვის „ტორპედო“ და ალმა-ათის „ქაირათი“? მოსკოვის „დინამო“ და ბაქოს „ნეფთჩი“? მოსკოვის „სპარტაკი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“? „იზვესტია“ გვთავაზობს სხვა ვარიანტებს, რათა ჩვენს კლუბებს შეუმცირდეს სამგზავრო ხარჯები.

რაციონალურად არ არის გაანგარიშებული შესვენებები ჩემპიონატის ცალკეულ ტურებს შორის. ამის გამო ზოგიერთ გუნდს ხშირად უხდება სათამაშოდ ჩავიდეს რომელიმე ქალაქში, შემდეგ შინ დაბრუნდეს და მომდევნო ტურის ჩასატარებლად კვლავ შორეულ მგზავრობაში გაემართოს. ასეთი შემთხვევები ხშირია, გუნდებს ხელი ეშლებათ ნორმალურ სასწავლო-სავარჯიშო მუშაობაში, რა თქმა უნდა, იზრდება ხარჯებიც. გაზეთს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, როცა უკვე ახლავე იგრძნობა, რომ საჭირო შეიქნება რამდენიმე თამაშის გადატანა.

თქმა არ უნდა, ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატის კალენდრის შედგენა რთული საქმეა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ იგი ზუსტი, რაციონალური და ხელსაყრელი უნდა იყოს სპორტული თვალსაზრისითაც და ფინანსური მოსაზრებებითაც.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ირად ვუდგებოდი ყოველ კონკრეტულ პარტიას, დავიწყე ბრძოლა ინიციატივისათვის, არ გავურბოდი გაურკვეველ, რთულ პოზიციებს.

⊙ სპეციალისტი კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ამ მატჩში ორივე მხრიდან ნაჩვენები იყო საინტერესო სადებიუტო იდეები, ამ მხრივ სევილიის მატჩის პარტიები პირველ ადგილზეა თქვენსა და კასპაროვს შორის გამართულ წინა მატჩებთან შედარებით. ასეა ეს?

— დიახ, შემოქმედებითი თვალსაზრისით ორთაბრძოლა მიმდინარეობდა მაღალ დონეზე, მაგრამ აუცილებელი დაზუსტებებით, რასაც მე ისევ დავუბრუნდები. საკმაოდ ბევრი სიახლეები იყო მომზადებული და გამოყენებული. მართალია, 1985 წელს კასპაროვმა გამოიყენა უფრო მეტი სიახლე, რითაც მაჯობა მან დებიუტში. 1986 წლის მატჩ-რევანშში კი მე გავაქარწყლე ეს უპირატესობანი. ჩემს აზრით, სევილიაში მსოფლიო ჩემპიონს ნაკლები საინტერესო სადებიუტო იდეები ჰქონდა. უკვე მეორე პარტიაში, ვთამაშობდი რა შავებით, მოჭადრაკეების მიერ კარგად ცნობილ პოზიციაში, გავაკეთე თავისებური, შეუსწავლელი მე-9 სვლა პაიკით. რა შეიძლება ვუწოდოთ ამას? „სისულელე“, რომლის ახსნაც შეუძლებელია? ამ სვლამ აიძულა მეტოქე ჩაფიქრებულიყო საათი და 23 წუთით, რაც სარეკორდო დროა მსოფლიო პირველობაზე ჩატარებული ყველა მატჩისათვის, ამ სვლამ კალაპოტიდან ამოაგდო კასპაროვი, ჩავარდა ძლიერ ციტენტში და მოჰყვა მოუგერიებელი შეტევის ქვეშ.

მე-5 პარტიაში მე-12 სვლაზე კვლავ გამოვიყენე ადრე უცნობი სადებიუტო იდეა და კვლავ ვაიძულე ჩემი მოწინააღმდეგე დიდხანს ჩაფიქრებულიყო მომდევნო სვლებზე. კასპაროვმა ბოლოს და ბოლოს იპოვა სწორი გეგმა ამ სიახლის წინააღმდეგ, მაგრამ იმის გამო, რომ დრო არ ეყო სწორი გადაწყვეტილებისათვის, დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა.

კასპაროვი თავის ინტერვიუებში გარკვეულად უპატივცემლოდ იხსენიებდა ჩემს ბრძოლის მეთოდებს. მის მიერ ხშირად გამოყენებულ გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ.

აი, შემდეგ, მე-7 პარტიაშიც განმეორდა ეს დაცვა და თეორებმა, რომლებითაც მე ვთამაშობდი, მიიღეს მოგების შესაძლებლობები, თუმცა, სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობები ვერ გამოვიყენე. მე-11 პარტიაშიც განმეორდა იგივე სურათი: გამარჯვება სრულიად რეალური იყო, მაგრამ ამის მაგივრად მომივიდა უხერხული შეცდომა. მაგრამ თვით შესაძლებლობები ხომ იყო. და მაძიებლისათვის ეს ხომ მთავარია, საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიექცეს ფსიქოლოგიურ განწყობას.

მე-11 პარტიის შემდეგ გონს მოსვლა ძნელი საქმე იყო, მაგრამ მე მაინც შევძელი ჩემი განწყობის მოთოკვა და მოვიგე მე-16 პარტია შავებით და კვლავ იშვიათი გაგრძელებით.

კასპაროვის სიფრთხილე რთულ, ბუნდოვან პოზიციებში, რომელსაც მე მუდამ ვგრძნობდი მეხუთე პარტიის. შემდეგ, თექვსმეტივე პარტიიდან მოყოლებული გადაიზარდა ხსნის ნერვიულ ძიებაში, ჩემს მიერ გამოყენებულ სადებიუტო სიახლეში შეცდომის პოვნის მალულ ცდაში, იგი შეეცადა დავეშინებინე მივიწყებული სვლის გამოყენებით (მე-17 პარტია).

კასპაროვი ყაიმებს აღწევდა, რასაკვირველია არა წინასწარ დამუშავებული ეგზმით. ის საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ მიხვდეს ასეთი ტაქტიკით ჯერ ერთი ქულის უპირატესობის, ხოლო მე-16 პარტიის შემდეგ თანაბარი (8:8) ანგარიშის შენარჩუნება ბევრი პარტიების მანძილზე შეუძლებელია, უაზრობაა. ბრძოლას კარგა ხანს ასეთი ხასიათი ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს დადგა გარდატეხის დრო, 23-ე პარტიაში, რომელიც მიმდინარეობდა ჩემი უპირატესობით, კასპაროვმა განიცადა მარცხი. ანგარიში შეიცვალა ჩემს სასარგებლოდ. ფინალურ შეხვედრაში საკმარისი იყო ყაიმი და მე ვიბრუნებდი მსოფლიო ჩემპიონის სახელს. მაგრამ, ზუსტად ბოლო, 24-ე პარტიაში მე დავუშვი გაუმართლებელი ფსიქოლოგიური შეცდომა. მოვდუნდი, თითქოს ყველაფერი უკვე მიღწეულია და ამიტომ ვთამაშობდი ნაკმაოდ ცუდად, არ შემიძლია გავიხსენო კასპაროვთან ნათამაშები პარტიებიდან უარესი. ამ პარტიაში იყო მხოლოდ ნერვების თამაში, ჭადრაკი კი სადღაც არარეალურში გადავიდა. ახლა უკვე არა კასპაროვი (რომელმაც მე-16 პარტიაში ითამაშა არა იმ ეტლით და არა იმ მხარეს), არამედ მე, ციტენტში, ვითამაშე არა იმ მხედრით და არა იმ მხარეს, რითაც მოწინააღმდეგეს ვაიძულებდი არათუ შეეწყვიტა ბრძოლა მოგებისათვის, არამედ თავად ეძებნა პარტიის ხსნის გზები ყაიმით. დასანანია.

რასაკვირველია, საყაიმო შედეგი წაგებას არ ნიშნავს. ერთის მხრივ... ბოლოს და ბოლოს ამის დავიწყება აუცილებელია. იმიტომ, რომ უკვე ახლა (და არა ხვალ — ახლავე) უნდა ვიფიქრო სიყვარულით კეთილშობილ ჭადრაკზე, თუ როგორ განვახორციელო სპორტული მომზადება სამი წლის განმავლობაში, რომ ისევ მქონდეს შესაძლებლობა ვიბრძოლო მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის.

⊙ თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ დაპირება ორთაბრძოლის მაღალი შემოქმედებითი დონის შეფასების შესახებ?

— მახსოვს. მას შემდეგ, რაც ვილაპარაკეთ პარტიებისა და მათი ანალიზის შესახებ, ჩვენს დამოკიდებულებაზე საჭადრაკო დაფასთან, კიდევ უფრო გასაგები იქნება შემდეგი. შესაძლებლობების მხრივ, უპირველესად კი თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემს მიერ გამოუყენებელ შესაძლებლობებს, მეც და კასპაროვსაც შეგვეძლო უკეთ თამაში ამ საპასუხისმგებლო მატჩში, ურთიერთკავშირი“..., ვალდებული ვარ გაბედულად შევედავო რეალური ფაქტების დამახინჯებისათვის, განსაკუთრებით კი 1983 წელს კასპაროვ-კორჩნოის მატჩის ჩაშლის გარემოებათა შესახებ, როცა კასპაროვს აშშ-ში გამოუცხადებლობისათვის ჩაუთვალეს წაგება, ეს საქმე მას წარმოდგენილი აქვს, როგორც „საბჭოთა საჭადრაკო მაფიის ხრიკი“, და მისი განწყობა სსრკ სპორტსახკომის წინააღმდეგ მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ, უმადურობაა.

თავის ინტერვიუებში მსგავსი გამოთქმები დაუშვა კასპაროვმა სევილიაში მატჩის მსვლელობის დროსაც, რომელთაც დასავლეთის პრესა მაშინვე აქვეყნებდა. ასე რომ, დასავლეთ გერმანულ გაზეთ „ფრანფკურტერ ალგემაინეს“ 1987 წლის 17 ნოემბრის ნომერში მე წავიკითხე შემდეგი აღმოჩენა: „ჩვენ მოწმენი ვართ, ორი სხვადასხვა ინტელექტის ადამიანებს შორის ბრძოლისა: დემოკრატიული და ფაშისტური... კარპოვი არის ინტელექტუალური მაფიის წარმომადგენელი... იგი საბჭოთა მაფიოზის ნათლიაა“. როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, აქ კომენტარი ზედმეტია.

უნდა აღვნიშნო, რომ 1978 და 1981 წლების მატჩების დროსაც მოვექეცი ფსიქოლოგიური თავდასხმის ქვეშ. მაგრამ ახლანდელმა ჩემმა მოწინააღმდეგემ აშკარად გადააჭარბა წინახდელს. ეს ყველაფერი ძალზე გულსატკენია. ჩვენ ხომ მოწოდებულნი ვართ ამ ძველი კეთილშობილი თამაშის შემოქმედებითი დისკუსიისათვის, სხვადასხვა სტილისა და იდეის შეჯახებისათვის, საჭადრაკო დაფასთან ღირსეული შეჯიბრებისათვის, მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი იმისათვის, რაც ხელს შეუწყობს ჭადრაკის განვითარებას და მისი პოპულარიზაციის გაზრდას. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული: გამარჯვებულს არავითარი, თუნდაც ძალზე ბრწყინვალე წარმატება, არ აძლევს შეტოქის გაშავების უფლებას.

⊙ ანატოლი ევგენის ძევ, უკანასკნელი, ტრადიციული შეკითხვა: როგორია თქვენი გეგმები სამომავლოდ?

— მე მათ არ ვმალავ და ვგონებ უკვე გავუზიარე კიდეც ჟურნალისტებს. იანვარში მივემგზავრები ჰოლანდიაში, იქ მონაწილეობას მივიღებ ვეიკ-ან-ზეეს საუბილეო საერთაშორისო ტურნირში. წელს დაიწყება მსოფლიო თასის პირველი გათამაშება, რომელშიც 24 საუკეთესო მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის ვიქნები მეც. გაზრახული მაქვს ვითამაშო კანადაში, სადაც პირველად ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. აგვისტოში მონაწილეობას მივიღებ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, აგრეთვე სხვა შეჯიბრებებშიც, თუ კი ისინი საინტერესო და, რაც მთავარია, ჭადრაკისთვის სასარგებლო იქნება.

საუბარი მიჰყავდა
ა. ალექსეევს,
„სოვეტსკაია როსია“, 17 იანვარი. 1987 წ.

თარგმნა რუსუდან ბიორგაძემ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

მეოთხე ტირაჟის შედეგები (23-24 იანვარი)

1—2, 2—1, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—2, 10—1, 11—2, 12—2, 13—1.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მეოთხე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 2 (ბიატლონი), 17 (საციგურაო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (ცალთბურთი), 6 (ძიუდო), 9 (საგზაო-ტკეცილო ველოსიპედი), 11 (ფრენბურთი), 18 (მძლეოსნობა).

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოშარაულის ქ. 29. УЕ 05153